



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

მიმდინარე ანგარიშგება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მიხედვით*

1. მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თარიღი – სექტემბერი 2015 წელი
2. არსებითი ფაქტის (მოვლენის) მოხდენის თარიღი: 2015 წლის აგვისტო
3. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
4. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს იურიდიული მისამართი:

ქ. თბილისი, 0160, გაგარინის ქუჩა #29 ა, ტელ: 444-444, 444-227;



მიმდინარე ანგარიშის შინაარსი:

I. ინფორმაცია საწარმოს შეფასებით საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენის შესახებ.

საქართველოს ბანკმა დაასრულა ჯგუფის სტრუქტურის განახლება და არასაბანკო და საბანკო ბიზნესის ერთმანეთისგან გამიჯვნა. საქართველოს ბანკი სრულად ფოკუსირდა საბანკო საქმიანობაზე, არასაბანკო ბიზნესი კი გაერთიანდა ცალკე საფინანსო და საინვესტიციო მიმართულებებად და შევიდა საქართველოს ბანკის ჰოლდინგის (Bank of Georgia Holdings plc) დაქვემდებარებაში.

იხილეთ დანართი სტრუქტურის ამსახველი სქემა.

სს „საქართველოს ბანკის“ განცხადებული კაპიტალი დარჩა უცვლელი და შეადგენს 43,308,125 (ორმოცდასამი მილიონ სამასრვა ათას ასოცდახუთ) ლარს;

სს „საქართველოს ბანკის“ განადგობული კაპიტალი შეადგინა 27,821,150 (ოცდაშვიდი მილიონ რვაასოცდაერთი ათას ასორმოცდაათი) ლარს;

სტრუქტურის განახლებასთან ერთად, ასევე შევიდა ცვლილებები საქართველოს ბანკის მენეჯმენტის შემადგენლობაში.

2015 წლის 01 სექტემბრიდან ირაკლი გილაური განთავისუფლდა სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობიდან, მისი სს „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოში არჩევის მიზნით.

2015 წლის 01 სექტემბრიდან მურთაზ კიკორია დაინიშნა სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე.

2015 წლის 01 სექტემბრიდან ირაკლი ბურდილაძემ დატოვა სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა.


2015 წლის 01 სექტემბრიდან ლევან ყულიჯანიშვილი დაინიშნა სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე.

2015 წლის 01 ნოემბრიდან ავთო ნამიჩიშვილი ტოვებს გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობას.

2015 წლის 27 აგვისტოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბ-ნ ირაკლი გილაურისა და ქ-ნ ჰანა ლოიკანენის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩევის შესახებ.

საქართველოს ბანკის ჰოლდინგის (Bank of Georgia Holdings PLC) რეორგანიზაცია

ძველი სტრუქტურა



ახალი სტრუქტურა

